საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 58

2020 წლის 3 აგვისტო ქ. ბათუმი

საქართველოს მოქალაქის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად შესვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის მე-4[1] მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 და მე-17 მუხლების შესაბამისად:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმით დადგენილი საქართველოს მოქალაქის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად შესვლის მიზნით საქართველოს ტერიტორიის დატოვების დროებითი წესის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიერ შევსებული აპლიკაციის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შემოწმების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით,

ა) რამაზ ჯინჭარაძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) თეიმურაზ კახიძე- სსიპ დასაქმების სააგენტოს დირექტორი (ჯგუფის წევრი);

გ) კახა შაშიკაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის წევრი).

2. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

3. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სხვა პირები.

4. სამუშაო ჯგუფმა, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის მე-4[1] მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის მიერ შევსებული აპლიკაციის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შემოწმება.

5. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული გეგმის მე-4[1] მუხლის მიზნებისათვის და მხოლოდ შესაბამისი მოცულობით დაამუშავოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაში განთავსებული საქართველოს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემები.

6. სამუშაო ჯგუფმა უფლებამოსილების განხორციელებისას

იხელმძღვანელოს „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებითა და მოქმედი კანონმდებლობით.

7. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (ნ.ნიჟარაძე).

8. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე